პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

☐ სამშაბათი 5 დეკემბერი 1978 წ. ☐ № 283 (17327) ☐ ფასი 2 კაპ.

ხორცი შეგვასხათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს!

დამკვრელური წლის-ფინიშს —ჩვენი სიგელჯითე, თავდადება!

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ნოემბრის პლენუმზე აღნიშნა, ჩვენ გვაქვს შრომითი წარმატებების გამრავლების ისეთი ნაცადი ბერკეტი, როგორიც არის სოციალისტური შეჯიბრება. ეს შეჯიბრება, რომელიც თავისი გაქანებითა და სიღრმით ბეუმარიტად საყოველთაო-სახალხო გახდა, დღეისადაგ უნდა წარმოუშობდეს შემოქმედებითი შრომის ახალ და ახალ ნიმუშებს.

ლენინური კურსით

ПРАВДА 3 დეკემბერი

ბავლილია მეათე ხუთწლედის სამი წელი, მოახლოვდა მისი მეოთხე, უკანასკნელისწინა წელი. სახელოვნად იშრომეს ამ ხნის მანძილზე საბჭოთა ადამიანებმა. უდიდესია საბჭოეთის მიღწევები. დიდია ამოცანები, რომლებიც ჯერ კიდევ უნდა გადაწყვიტოთ. ნათელი და სასიხარულოა პერსპექტივები.

სწორედ ამის — ეკონომიკაში საქმის საერთო მდგომარეობის, ხუთწლედის სამი წლის შედეგებისა და მისი მეოთხე წლის გეგმების, შემდგომი პერსპექტივებისა და პარტიისა და ხალხის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტის გზების შესახებ იყო ლაპარაკი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმსა და სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიაზე, რომლებიც ამ დღეებში გაიმართა. პლენუმისა და სესიის გადაწყვეტილებებმა ერთხელ კიდევ ცხადყო, თუ რაოდენ მეცნიერული, ღრმა და ყოველმხრივ არის დასაბუთებული პარტიის პოლიტიკა, ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ პარტიას არა აქვს ხხვა საზრუნავი, ხხვა მიზანი, ვიდრე სამშობლოს ეკონომიკური და ხელიერი სიმდიდრის, მისი თავდაცვისუნარიანობის ზრდა, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება, ქვეყნად მშვიდობის, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაა.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა და ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ განიხილეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები. მიღებულია შესაბამისი დადგენილებები, კანონები.

ღრმამშნაარსიანი და მკაფიო ხიტყვა წარმოთქვა პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ბევრი რამ გაკეთდა გასულ ხამ წელიწადში, ბევრი რამ უკეთესობისაკენ შეიცვალა. საბჭოთა ადამიანები კომუნისტთა პარტიის ხელმძღვანელობით ბეჯითად მუშაობენ პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ცხოვრობენ ძაძანული, მჩქეფარე ცხოვრებით. მათ სწამთ თავიანთი ძალები, ღრმად არიან დარწმუნებული, რომ სწორია პარტიის კურსი როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. ყველაფერმა, რაც გაგვიკეთებია უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, თქვა პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, არ შეიძლება არ შეგვმატოს ამის რწმენა, რომ გზა, რომელსაც ჩვენ ვადგავართ, სწორი, ლენინური გზაა.

როგორც ცნობილია, ეკონომიკის საფუძველს შეადგენს ხალხური მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდები. ამ წლების მანძილზე ეს ფონდები მნიშვნელოვნად გაფართოვდა და განახლდა, 195 მილიარდი მანეთით გაიზარდა და მიმდინარე წლის დამლევისათვის ტრილიონ მანეთს მიაღწევს. აშენდა ახობთ ახალი საწარმო, რომელთა შორის არის ინდუსტრიის გიგანტები — ნოვოლიპეცკის ქარხნის ბრძოლედი, კამის საავტომობილო ქარხნის პირველი რიგი, ევროპაში უდიდესი ზაპოროჟიეს და უგლეგორსკის ხალხეფნო რაიონული ელექტროსადგურები.

მტკიცდება სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ხამი წლის მანძილზე 25 პროცენტით და მეტად გაიზარდა ხასოფლო-სამეურნეო შრომის ენერგოდაკვრავლობა. სოფლის მეურნეობამ მიიღო 230 მილიონ ტონაზე მეტი მინერალური სასუქები, 4,5 მილიონი ჰექტარი დაშრობილი და სარწყავი მიწები. ყოველივე ამან კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების ჭეშმარიტად გმირული შრომასთან ერთად ხამშობლის 1978 წელს მისცა უმაგალითო მოსავალი — 235 მილიონი ტონა მარცვლეული! კარგად იმუშავეს მეკარტოფილეებმა და მებამბეებმა, გაუმჯობესდა ხაქმის მდგომარეობა მეცხოველეობაში.

სამეურნეო მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებათა საფუძველზე ამაღლდა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. მთლიანად შესრულდა მოსახლეობის ფულადი შემოსავლის გადიდების დავალება. 30 მილიარდი მანეთით და მეტად გაიზარდა საცალო ხაქონელბრუნვა, თითქმის მეოთხედით გადიდდა საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა. აშენდა დაახლოებით 6,5 მილიონი კეთილმოწყობილი ბინა, ბევრი ხკოლა, საბავშვო ბაღი და ბაგა, კულტურის დაწესებულება, საავადმყოფო.

მოკლედ რომ ვთქვათ, მეათე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე ქვეყანამ არსებითად წაიწია წინ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა მიმართულებით. ჩვენს წარმატებებს საფუძვლად უდევს მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის თავდადებული შრომა.

ჯეროვნად აფასებს რა წარმატებებს, პარტიის არასოდეს არ აურიდებია თვალი ნაკლოვანებებისათვის, ხიძნელეებისა და ვიწრო ადგილებისათვის. ნაკლოვანებათა ანალიზი პარტიისათვის მუდამ იყო და არის მუშაობის გაუმჯობესების ამოსავალი პუნქტი. ახე იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზეც, სადაც ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი შეეხო ზვენი ეკონომიკის იმ უბნებს, რომლებიც პარტიისა, ხაბჭოთა და ხამეურნეო ორგანოების განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ.

ჯერ კიდევ იგრძნობა ზოგიერთი ხახეობის რეხურსების, უწინარეს ყოვლისა ლითონისა და ხათბობის დეფიციტი; ნელა უმჯობესდება ხაქმე კაპიტალურ მშენებლობაში, ხადაც დაუმთავრებელ მშენებლობათა მოცულობა გაიზარდა; არის ხიძნელენი ტრანსპორტზე, უწინარეს ყოვლისა რკინიგზის ტრანსპორტზე; მთლიანად ვერ კმაყოფილდება მოთხოვნილება ზოგიერთ ხასურხათა ხაქონელზე, განსაკუთრებით ხორცზე. პარტიის გადაწყვეტილებებში დასახულია ეკონომიკის ამ დარგებში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები. მათ შორის არის ძალების კონცენტრაცია ხაკვანძო ხასახლო-ხამეურნეო პრობლემების გადაწყვეტისათვის, მეტალურგიის, ხათბობი და ქიმიური მრეწველობის, ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის, ყველა ხახეობის ტრანსპორტისა და ხხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის. ხორციელდება კაპიტალურ მშენებლობაში ხაქმის გაუმჯობესების, ახალი საწარმოო ხიმძლავრეების დროული ამოქმედებისა და ათვისების უზრუნველყოფის, მრავალ მშენებლობაზე ძალების დაქსაქსვისა და ხახხრების გაფანტვის, დაუმთავრებელი მშენებლობისა და დაუდგმელი მოწყობილობის მოცულობის გადიდების ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის მტკიცე ღონისძიებანი. სოფლის მეურნეობის დარგში უნდა მივაღწიოთ მოხავლიანობისა და პირუტყვის და ფრინველის პროდუქტიულობის ზრდას, მარცვლეულისა და ხხვა კულტურების მთლიანი მოხავლის, ბორცის, რძის, კვერცხის, მატყლის წარმოების გადიდებას, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმების შესრულებას.

მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი ხახალხო-ხამეურნეო პრობლემა კვლავ რჩება ხახალხო მოხმარების ხაქონლის წარმოების გადიდება, ასორტიმენტის გაფართოება. და ხარისხის გაუმჯობესება. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა დავაჩქაროთ იმ დარგების განვითარება, რომლებიც ამ ხაქონელს უშვებენ.

1979 წლის, ისევე როგორც შემდგომი წლების, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გავაძლიეროთ ბრძოლა მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხისათვის. ეს ბრძოლა, ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში, უნდა წარმოებდეს ფართო ფრონტით — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაში და ეკონომიკის ხხვა დარგებში, წარმოებისა და მართვის ყველა რგოლში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას, მინიმალური დანახარჯებით პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და ტექნიკური დონის ამაღლებისათვის არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების ამოქმედებას.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის განვითარების ინტენსიურ ფაქტორებს, რაოდენ საჭიროა მთელი მეცადინეობა მოვახმაროთ მათ უფრო სრულ გამოყენებას.

ეკონომიკური განვითარების ინტენსიფიკაცია ნიშნავს წარმოების ხაბოლოო შედეგებზე ორიენტაციას, მათი მიღწევის ყველაზე ეფექტიანი და ეკონომიური გზების ძიებას; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, ახალი მეცნიერული იდეებისა და ტექნიკური გადაწყვეტების მუდმივ ძიებას, ხახალხო მეურნეობის განვითარების ხაკვანძო მიმართულებებით მეცნიერთა მეცადინეობის კონცენტრაციას; მშრომელთა განათლებისა და ხაქმიანი კვალიფიკაციის დონის ამაღლებას; მეურნეობრიობისა და მართვის მეთოდების შემდგომ სრულყოფას, ყველგან მუშაობაში ორგანიზებულობისა და შეთანხმებულობის განმტკიცებას.

პარტიული, ხაბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, ხამეურნეო ორგანოები უნდა უზრუნველყოფდნენ ხაგეგმო, ხაწარმოო და შრომის დისციპლინის ზუსტად დაცვას. რიტმული, შეთანხმებული მუშაობა, ყველა მაჩვენებლის მიხედვით გეგმის, მომხმარებლებისათვის პროდუქციის მიწოდების ვალდებულებათა უთუო შესრულება ხახალხო მეურნეობის ყველა რგოლისათვის უცილობელი კანონი უნდა იყოს. უნდა გავაძლიეროთ გეგმის მაორგანიზებელი და დამარაზმველი როლი, განვახორციელოთ ხისტემატური კონტროლი დადგენილი დავალებების შესრულებისადმი, ავიყვანოთ ხაგეგმო და ხამეურნეო ორგანოების პრაქტიკული მუშაობა იმ მაღალი მოთხოვნების დონეზე, რომლებსაც გვიყენებს პარტიის მითითებები აქტუალური ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისათვის.

ეკონომიკური განვითარების ინტენსიფიკაცია, მუშაობის მაღალი ეფექტიანობა და ხარისხი წარმოუდგენელია, ისე, თუ გადაწყვეტი ბრძოლა არ გამოუცხადეთ უყაირათობას, უპასუხისმგებლობას, დანაკარგებს, რომლებიც, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, კვლავ მეტად მნიშვნელოვანია. დანაკარგების საკითხი მარტო ეკონომიკური კი არა, დიდი პოლიტიკური საკითხიც არის, იგი უშუალო ზემოქმედებას ახდენს მასების განწყობილებაზე, შრომითს აქტიურობაზე. თითოეულ ხამეურნეო და პარტიულ მუშაკს გული უნდა შეხტკიოდეს ხალხის დოვლათისათვის. ყოველივე იმის რაციონალური გამოყენება, რაც ჩვენს მეურნეობას აქვს, უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა. პარტიული, ხაბჭოთა და ხამეურნეო ორგანიზაციების ვალია ყოველნაირად აღმოფხვრან არამწარმოებლური ხარჯები და დანაკარგები, მიაღწიონ მთელი მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების უყირათიან ხარჯვას.

სსრ კავშირის უმაღლესმა ხაბჭომ ერთხულოვნად დაამტკიცა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის ხახელმწიფო გეგმა და სსრ კავშირის ხახელმწიფო ბიუჯეტი. ეს გეგმა მნიშვნელოვანი რგოლია პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში. იგი ითვალისწინებს ეკონომიკის შემდგომ ზრდასა და მისი ეფექტიანობის ამაღლებას, ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებას. გეგმის სოციალური პროგრამა სახავს ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და კულტურული დონის ამაღლებას. მეცნიერების, კულტურისა და განათლების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა, და სოციალური უზრუნველყოფის განვითარებას. გეგმა მშრომელი ადამიანისათვის პარტიისა და ხახელმწიფოს ზრუნვის ახალი გამოვლინებაა. ხაკმარისია თქვას, რომ 1979 წელს დამთავრდება ხუთწლედის სოციალური პროგრამის ერთ-ერთი დიდი ღონისძიების განხორციელება—არასაწარმო დარგების მუშაკთათვის ხელფასის მომატება. ამის შედეგად მეათე ხუთწლედში 31 მილიონ კაცს მოემატება ხელფასი.

ახლა, როცა პროექტი გეგმა გახდა, ხოლო გეგმა — კანონი, მთავარი ის არის, რომ ზუსტად და კონკრეტულად განვსაზღვროთ, რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მშრომელმა, თითოეულმა კოლექტივმა ხაგეგმო დავალებების უთუოდ მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. სწორედ აქ გადმოინაცვლა პარტიის მთელი მახობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის სიმძიმის ცენტრმა.

პლენუმმა მოკავშირე რესპუბლიკებს ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა ბეჯითად სრულყონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური საქმიანობის ფორმები და მეთოდები. უნდა გავაძლიეროთ პარტიის ყველა რგოლის ბრძოლისუნარიანობა, ავამაღლოთ კომუნისტთა ავანგარდული როლი მორიგი ხამეურნეო და იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტაში. პარტიულ ორგანიზაციებს დღენიადაგ უურადღების ცენტრში უნდა ჰქონდეთ ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების, ხაბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურის შემდგომი ამაღლების უზრუნველყოფის ძირეული საკითხები. როცა ყოველმხრივ კრიტიკულად ვიფასებთ გაწეული მუშაობის შედეგებს, უფრო გაბედულად უნდა განვავითაროთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, გადაჭრით აღმოფხვრათ ნაკლოვანებები, ავამაღლოთ კადრების აქტიურობა და მათი პერსონალური პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის.

პარტიულ ორგანიზაციათა წინაშე დასახული ამოცანების რთული კომპლექსი უნდა გადაწყვიტოს, განსაზღვროს კომუნისტთა მეცადინეობის გამოყენების ძირითადი წერტილები საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ, რომელიც ახლა მიმდინარეობს პარტიაში, მთავარი ის არის, რომ ამ კამპანიიდან პარტიის ყველა რგოლი გამოვიდეს კიდევ უფრო დარაზმული, კიდევ უფრო ძლიერი და ქმედითუნარიანი.

საგეგმო დავალებების შესრულების, შრომითი წარმატებების გამრავლებისა და ადამიანთა კომუნისტური აღზრდის ნაცადი, ეფექტიანი ხაშუალებაა ხოციალისტური შეჯიბრება. საჭიროა იგი გავშალოთ კიდევ უფრო ფართოდ, მოვახმაროთ წარმოების რეზერვების გამოძებნას, მაღალი ხაბოლო შედეგების მიღწევის ყველაზე ეფექტიან და ეკონომიური გზების ძიებას, იმას, რომ ყოველივე ახალი და პროგრესული სწრაფად ვრცელდებოდეს, ხოლო თვით შეჯიბრება აქტიურად უწყობდეს ხელს მოწინავეთა დონემდე ჩამორჩენილების აყვანას. საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის წარმატებული ბრძოლა წარმოუდგენელია ნოვატორობის, ინიციატივის, შემოქმედების გარეშე.

ცნობილია, რომ რაც უფრო შეგნებული არიან ადამიანები, რაც უფრო მეტად არიან იხინი მომზადებული პოლიტიკურად, იდეურად, მით უფრო წარმატებით მიმდინარეობს ეკონომიკური მშენებლობა, მით უფრო სწრაფია ჩვენი წინსვლის ტემპი. ბუნებრივია, რომ პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის, საგარეო-პოლიტიკური ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობას. ხაჭიროა, რომ ჩვენს პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი გადაიცემოდეს მეტი პრინციპული, დიდი გამოსვლები, რომლებიც ეხება ხამეურნეო და ხოციალური ცხოვრების მომწიფებულ პრობლემებს, დამაჯერებელი მასალები, სერიოზული განმაზოგადებელი დასკვნებითურთ. საერთაშორისო ინფორმაციის დარგში დიდი მნიშვნელობა აქვს ფაქტების ღრმა, დასაბუთებულ ანალიზს, და არა ანბანურ ჭეშმარიტებათა უთავბოლოდ გამეორებას. „იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა ვალია, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — აამაღლონ მუშაობის ხარისხი, ეფექტიანობა, სრულყონ მისი ფორმები და მეთოდები“.

ახლა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უველაზე დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ განმარტონ, პროპაგანდა გაუწიონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ხესიის მასალებს, დარაზმონ მახები მათი გადაწყვეტილებების შესრულებისათვის.

საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ პლენუმისა და სესიის შედეგებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ხაშინაო და ხაგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას. ახლა ახინი განსაკუთრებით მჭიდროდ არიან დარაზმული თავიანთი ლენინური პარტიის გარშემო და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხორცი შეასხან პარტიის გეგმებს, გადადგან კიდევ ერთი ახალი ნაბიჯი კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე.

გზა მაღალი ხარისხისაკენ

თბილისის საინსტრუმენტო ქარხანაში პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური ხისტემა დაინერგა. ეს ხუთწლედის ბოლოსათვის დასახული ამოცანის სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონის გაზრდის უტყუარი საშუალებაა. მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქციის ხარისხი, ამაღლდა რიგოდენობრივი მაჩვენებელიც. მომდინარე წლის ათი თვის განმავლობაში საწარმომ 312 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

სამი ხახეობის მრავალწახნაგა საჭირხსა და შიგხახრახნს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა.

ქარხნის პროდუქცია ჩვენი ქვეყნის მრავალ საწარმოსა და ყველა ხოციალისტურ ქვეყანას ეგზავნება.

* * *

სურათზე: ხახელმწიფო ხარისხისნიშნიანი შიგხახრახნების ხაამქროს მოწინავე მუშები (მარცხნიდან): ლილი ხევსურაშვილი, ლუბოვ მაკარიანი და ანიკო საყვარელაშვილი. ისინი გრაფიკის გასწრებით მუშაობენ და უკვე 1979 წლის ანგარიში გახსნეს.

ე. ეგინოვის ფოტო (სპეციალური ფოტოქრონიკა).

1979 წლის ანგარიშში

ტყვარჩელი (ხაკ. კორ.). მეათე ხუთწლედის მესამე დამკვრელურ წელს განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად შრომობს ტყვარჩელის ნ. ლაკობის სახელობის შახტასამმართველოს კოლექტივი. წლის დასაწყისიდან გეგმის გადამეტებით ამოღებულია 11 ათასი ტონა ქვანახშირი. თითოეული ტონა სათბობის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით 3 კაპიკით შემცირდა, რითაც მიღებულია 8.600 მანეთი ეკონომია.

შახტასამმართველოს სისტემაში მოწინავეთა რიგებში არიან № 2 შახტის მშრომელები, რომლებმაც გეგმის გადამეტებით უკვე 7 ათასი ტონა სათბობი ამოიღეს. ასევე წარმატებებს აღწევს № 5 შახტის კოლექტივი.

დამკვრელურად შრომობენ ის უბნები, რომლებსაც გამოცდილი სამთოელები ა. აბრამია, ვ. ბოლქვაძე, შ. დოღონაძე, ო. ჩანანიძე უდგანან სათავეში. მოწინავე ბრიგადები, რომლებსაც ა. ნარუშვილი, რ. გვასალია, ვ. ხინთუბა, ბ. მტკვრარია, ვ. ტკაჩოვი ხელმძღვანელობენ, უკვე დიდი ხანია 1979 წლის ანგარიშში-ღიებენ სათბობს.

150 ათასი ტონა ციტრუსისათვის

ოქროს რთველი

ზამთარი გეეტუმრა, მაგრამ რესპუბლიკის ნარინჯოვან პლანტაციებში 150 ათასი ტონა ციტრუსხეთათვის ბრძოლის გადამწყვეტი დღეები მხოლოდ ახლა დგება. ჯერჯერობით მხოლოდ 81 ათას ტონამდე ციტრუსის ნაყოფია დამზადებული. ცვლილებადი ამინდები და ზამთრის სუსხი მოითხოვს კიდევ უფრო გააქტიუროს მუშაობა კონვეიერმა „პლანტაცია — შესაფუთი ქარხანა — პროდუქციის მომხმარებლისათვის ტრანსპორტირება“.

ციტრუსის დამზადება 4 დეკემბრისათვის (ტონობით)

რაიონები	1978 წლის გეგმა-ვალდებულება	მოკრეფილია 4 დეკემბრისათვის
აჰარის ასსრ	93.115	52.262
აფხაზეთის ასსრ	36.709	20.170
მახარაძის	14.527	5.599
ლანჩხუთის	3.141	1.241
ზუგდიდის	1.355	900
ხობის	1.003	714
ცხაკაიას	370	53
ჩოხატაურის	50	10

4 დეკემბრისათვის სულ რესპუბლიკაში მოკრეფილია 80.949 ტონა.

გორელ მეხილეთა გამარჯვება

გვაცყობინებენ საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი ა. კოზმანიშვილი

გორელმა მეხილეებმა თვალსაჩინო გამარჯვებას მიაღწიეს ხუთწლედის მესამე წლის გეგმავალდებულების გადამეტებით შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მათ სახელმწიფოს 85 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი არამატული ხილი მიჰყიდეს ნაცვლად ვალდებულებათ გათვალისწინებული 73 ათასი ტონისა.

ეს წარმატება იმის შედეგია, რომ მეხილეებმა უაღრესად არახელსაყრელი ამინდების პირობებში მაღალ დონეზე შეასრულეს ბაღების მოვლა-პატრონობის ყველა სამუშაო.

ბარაქიანი მოსავლის მოწევაში მეხილეებს ხელი შეუწყო სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელსაც სათავეში კომუნისტები უდგანან.

ხილის დამზადებაში დაწინაურდნენ ძევერის საბჭოთა მეურნეობა, ქიწნისის სანერგე მეურნეობა, სკრის საცდელი სადგური, გორის ექსპერიმენტული მეურნეობა, ტყვიავის, ხელოუბნის და მერეთის კოლმეურნეობები.

ტყვიავის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე — რ. ჩიხლაძე) ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.000 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდა 4.610 ტონა თესლოვანი ხილი, ძევერის საბჭოთა მეურნეობამამ (დირექტორი — ვ. სუხიაშვილი) და სკრის საცდელმა სადგურმა (დირექტორი — რ. კვაჭანტირაძე) ხილის დამზადების გეგმა 1000-1000 ტონის გადამეტებით შეასრულეს.

შეჯიბრებაში გამარჯვებულ ბრიგადებს შორის პირველობენ ის შრომითი კოლექტივები, რომლებსაც სოციალისტური შრომის გმირები ვარიანელი ეკატერინე თვალიაშვილი და ძევერელი მარიამ ჩიხლაძე უდგანან სათავეში. ამ ბრიგადებმა ხილის წარმოების გეგმა-ვალდებულებები 130-140 პროცენტით შეასრულეს. გმირებს შრომაში მხარს უსწორებენ მეხილეები თ. ხაბაზიშვილი და ქ. მირახანაშვილი.

სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდის საქმეში პატრიოტული წვლილი შეიტანა რაიონის მოსახლეობამ, რომელმაც დამზადების პუნქტებში საკარმიდამო ნაკვეთებში მოწეული 34 ათასი ტონა ხილი მიიტანა. მოსახლეობაში ხილის დამზადებას კარგად უხელმძღვანელეს ტირძნისის, ძევერის და ზეღდულეთის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა.

თესლოვანი ხილის დამზადება გრძელდება.

1979 წლის ანგარიშში

მოსკოვში ჩამოვიდა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 4 დეკემბერს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი ნურ მუჰამედ თარაკი.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ნ. მ. თარაკის გულთბილად მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

საფრენ მოედანზე ჩამწკრივებული იყო სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამი სახეობის — სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენელთა საპატიო ყარაული. ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. მ. თარაკიმ ჩამოუარეს საბჭოთა მეომრების მწყობრს. შესრულდა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

(საკდესი).

სურათზე: აეროდრომზე შეხვედრის დროს.

სკკპ-ს-ის ინფორმაციის ტელეფოტო.

მოქმედების საბრძოლო პროგრამა

სანიმუშო თემატიკა

ფართო პროპაგანდა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალებს!

საბჭოთა ადამიანები უდიდესი აღმავლობით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ამ პლენუმზე წარმოთქმულ შესანიშნავ, ღრმაშინაარსიან სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ყოველმხრივ გააანალიზა სახალხო მეურნეობის საქმის ვითარება, გამოავლინა მიღწეულ წარმატებათა მასშტაბი, განსაზღვრა მათი ხორცშესხმის ამოცანები და გზები. ხაზგასმით აღნიშნა იდეოლოგიური მუშაობის დიდი მნიშვნელობა, თქვა, რომ საჭიროა მისი შემდგომი სრულყოფა და ეფექტიანობის ამაღლება.

სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიამ განიხილა და დაამტკიცა ქვეყნის 1979 წლის გეგმა და ბიუჯეტი, მიიღო სსრ კავშირის მოქალაქეობის კანონი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სესიის გადაწყვეტილებანი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე საქმიანობის კონკრეტული, საბრძოლო პროგრამაა. პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართო მუშაობა გააჩაღეს ამ დოკუმენტების შესასწავლად და დასახული ამოცანების შესრულებისათვის მშრომელთა დასარაზმად.

ლექტორთა, მომხსენებელთა, პროპაგანდისტთა, პოლიტინფორმატორთა, აგიტატორთა დასახმარებლად ქვეყნდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგების, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალების მიხედვით სანიმუშო თემატიკა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი ეტაპია.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა პარტიისა და ხალხის მოქმედების საბრძოლო პროგრამა.

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმა გამოვლინებაა პარტიის ზრუნვისა სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

სკკპ XXV ყრილობის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის რეალიზაციის მეათე ხუთწლედის სამი წლის შედეგები.

ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების შექმნა და მათი როლი ეკონომიკის განვითარებაში.

ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის საწარმოო ძალების განვითარებას — დამკვრელური ტემპი!

1978 წლის მოსავლისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლა მოგებულია! ქვეყანამ პირველად მიიღო 235 მილიონი ტონა მარცვლეული!

რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ყაზახეთის მხვნელ-მთესველთა დიდი შრომითი გამარჯვება.

პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ახალი ზრუნვა დიდი სამამულო ომის ვეტერანებისათვის.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი ამოცანები 1979 წელს.

სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდება, ხარისხის გაუმჯობესება საკვანძო ამოცანაა.

პარტიის ზრუნვა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოველმხრივ განმტკიცებისათვის.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება მთელი პარტიის, მთელი ხალხის საქმეა.

გავაჩაღოთ ბრძოლა ლითონის, სათბობის, ელექტროენერგიის, მთელი მატერიალური რესურსების უმკაცრესი ეკონომიისათვის!

დავზოგოთ დიდსა თუ მცირეში — ეს თითოეული საწარმოო კოლექტივის, თითოეული მშრომელის საქმეა.

ვადამდე ავაშენოთ, ვადამდე ავითვისოთ!

ტრანსპორტის მუშაობას — ზუსტი რიტმი, მაღალი ეფექტიანობა.

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია.

ხორცისა და რძის წარმოების გადიდება სოფლის მშრომელთა საბრძოლო ამოცანაა.

ფაბრიკა-ქარხნების დამხმარე მეურნეობანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღების არსებითი წყაროა.

პირად მეურნეობაში პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდა სახარგებლო, სახელმწიფო საქმეა.

რაკი სოფლად ცხოვრობ — იცოდე და გიყვარდეს ტექნიკა!

გავაძიერთ ბრძოლა მარცვლეულის, ბოსტნეულის, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის დანაკარგების წინააღმდეგ.

გავაძლიეროთ კონტროლი, ყოველნაირად ავამაღლოთ პასუხისმგებლობა მაროვის ყველა რგოლში.

ყამირის 25-ე წლისთავი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყამირის ეპოპეის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია.

ყამირის გატება სოციალისტური ეპოქის დიდი გამარჯვებაა.

ყამირი მიწების ათვისების ეკონომიკური ეფექტიანობა.

მეყამირეთა გამოცდილება — არაშავმიწანიადაგიანი ზონის მშრომელებს.

არაშავმიწანიადაგიანი ზონის გარდაქმნას — ყამირული გაჭანება.

პირველი ხუთწლედის ორმოცდამეათე წლისთავი საბჭოთა ეკონომიკის დინამიკური განვითარების ღირსშესანიშნავი ეტაპია.

სოციალისტური შეჯიბრება შრომითი წარმატებების გამრავლების ნაკადი ბერკეტი, მასების კომუნისტური აღზრდის ქმედითი საშუალებაა.

კომუნისტთა ავანგარდული როლი წარმოების მაღალი ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში.

კომუნისტი — წარმოების მოწინავე — სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზატორი, მასების აღმზრდელია.

ხარისხის ხუთწლედს — მუშური გარანტია.

მუშათა ინიციატივას — ინეინრული უზრუნველყოფა.

ბრიგადის ხუთწლიანი დავალება შეავსრულოთ ნაკლები შემადგენლობით!

„მუშათა ესტაფეტა" შეჯიბრების ორგანიზაციის დიდმნიშვნელოვანი ფორმაა.

ჩვენი კოლექტივის შემხვედრი გეგმა.

თითოეულის მუშაობის მაღალი ხარისხიდან — მთელი კოლექტივის შრომის მაღალი ეფექტიანობისაკენ!

გავაძლიეროთ ბრძოლა ხელის შრომის შემცირებისა და კომპლექსური მექანიზაციისათვის!

დავაჩქაროთ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვა!

თუ პირობა დადე — შეასრულე! რაკი ვალდებულება იკისრე — შეასრულე კიდეც!

ვიმუშაოთ ღვეს გუშინდელზე უკეთ, ხვალ კი ღღევანდელზე უკეთ!

ფართო გზა მივცეთ საქმიან, მახვილ სიღრმიდან მომავალ ინიციატივებსა და თაოსნობებს!

ვიმუშაოთ უჩამორჩენილებოდ — ეს მთავარია სოციალისტურ შეჯიბრებაში!

მოწინავეთა გვერდით ჩამორჩენილნი არ უნდა იყვნენ!

მოწინავეთა გამოცდილების დასაუფლებლად გვმართებს სიმტკიცე, თავდადება, ვაჟკაცობა.

როგორ დავნერგოთ მოწინავე გამოცდილება ჩვენს კოლექტივში.

შრომის ეფექტიანობა და ხარისხი — საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და ზნეობრივი სიმწიფის მაჩვენებელია.

იდეურ-აღმზრდელობითს, ხალხფორმაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას — საქმიანი მიდგომის, კონკრეტულობის, ოპერატიულობის მაქსიმუმი.

პარტიისა და ხალხის ერთობა კომუნისტური მშენებლობის ახალ გამარჯვებათა საწინდარია.

საამაყო წოდება — სსრ კავშირის მოქალაქე!

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის.

ხორცი შევასხათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს!

1979 წლის გეგმა კანონია — მთელი ძალები მოვახმაროთ მის შესრულებას!

გადავაქციოთ 1979 წელი დამკვრელური შრომის წლად!

პირადი ხუთწლიანი გეგმები — ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავისათვის!

მეათე ხუთწლედს — დამკვრელური ფინიში!

პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების გადაწყვეტის საქმეში ახალი წარმატებებისათვის!

რესპუბლიკავ ჩემო!

საქართველო განახლდა,
საქართველო ამაღლდა,
ცეცხლი ლხენის, ხალისის
გულს მიღვივის მგოსანს,
შენს ზურმუხტის ქედებს,
შენს ჰესებს და ბრძმედებს,
რესპუბლიკავ ჩემო,
სიხარული მოსავს.

შენი დროშის ნათებით,
შენი ზეაღმატებით
გული ლხინობს, ბაგეზე
ჩქეფს ღიმილი ღვარად...
შრომისა და ნამუსის
მზე ჩახჩახებს მამულში,
რესპუბლიკავ ჩემო,
ეს მზე გენთოს მარად!

ვაშა მუშის მარჯვენას,
ვაშა გლეხის მარჯვენას,
თქვენ დიდება: კალამო,
ნამგალო და ურო!...
შენ სიცოცხლე მარადი,
მეც სამარის კარამდი,
რესპუბლიკავ ჩემო,
მზად ვარ გემსახურო!

ვაშა, ჩაის ტონებო,
ვაშა, ძნების კონებო,
ღღეგრძელობა, სიცოცხლე
შრომის გმირთა ლაშქარს!...
შენს მადლიან მიწას,
და ვინც შენს მზის
ჰფიცავს,
რესპუბლიკავ ჩემო,
სულ ვაშა და ვაშა!

ვაშა ძმობას ერების —
წყაროს ბედნიერების
(ქართველს გულში
ყოველთვის
სიყვარული უძევს!)
შენი აღმატების,
ყველა წარმატების,
რესპუბლიკავ ჩემო,
სიმტკიცეს და ფუძეს!

დაგელოცოს, მამულო,
ოქროს ცვრით დანამულო,
ზვრებში ჩაშაქრებული
ტკბილი მტევნის გემო!...
ახალ სიოს ქროლვით,
მწვერვალისკენ ლტოლვით
წინ, წინ გასწი მედგრად,
რესპუბლიკავ ჩემო!

ალექსანდრე ბეგაშვილი.

„რეროს" წარმატება

აღის-აბება. (საკდესი). ეთიოპიის ეროვნულ თეატრში დიდი წარმატება ხვდა ქართული ანსამბლის „რეროს" პირველ გამოსვლას. საბჭოთა მსახიობებს გულთბილად მიესალმა ათასზე მეტი მაყურებელი, რომელთა შორის იყვნენ მთავრობის წევრები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, აღის-აბებაში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების მეთაურები.

შემოქმედებითი კოლექტივების გაცვლა, რომელიც უკვე კარგ ტრადიციად იქცა, ხაზგასმით აღნიშნა ეროვნული თეატრის დირექტორმა, ცნობილმა ეთიოპმა დრამატურგმა ტესფაიე გესესმე, ჩვენი ორი ქვეყნის ხალხებს შესაძლებლობა აძლევს უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეთიოპიასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებასა და გაფართოებაში.

გასტროლების დროს საბჭოთა მსახიობები მთელ რიგ კონცერტებს გამართავენ ადის-აბებასა და ქვეყნის სხვა ქალაქებში. ისინი გამოვლენ აგრეთვე ომის ვეტერანების, სამრეწველო საწარმოთა მუშაბისა და კულტთა ასოციაციების წევრების წინაშე.

სპეციალური ცნობა

მჯიდრო ნაბიჯი

საზღვარგარეთის პრესა კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიას, ფართოდ განიხილავს და განმარტავს სესიის მიერ მიღებულ კანონებს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მეოთხე წლის — სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სესიის მონაწილენი ერთსულოვნად იწონებენ და უმეტესი მხარს 27 ნოემბერს გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, დებულებებსა და დასკვნებს, რომლებიც მოცემულია ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში. პლენუმის დოკუმენტები, ნათქვამია პრესის ცნობიებში, ასახავენ სკკპ XXV ყრილობის მიერ წამოყენებული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის შემდგომი თანმიმდევრული განხორციელების ძირითად მიმართულებებს.

სულით და გულით გულოცავთ საბჭოთა მეგობრებს მეათე ხუთწლედის დასასრულებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ შემოთავაზებული ეკონომიკური სტრატეგიის ხორცშესხმაში მოპოვებულ შთამბეჭდავ წარმატებებს. განაცხადა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ვლადისლავ კრუჩემა. ჩვენ ძმურად გვახარებს საბჭოთაოს ეკონომიკური და თავდაცვითი პოტენციალის სწრაფი ზრდა, მისი წარმატებანი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე საბჭოთა სახალხო მეურნეობის ახლანდელი მდგომარეობის ღრმა, ყოვლისმხრივი ანალიზის შესანიშნავი მაგალითია, წერს ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავო". სკკპ ცენტრალური კომიტეტი თავისი ტრადიციების ერთგულია: მისი გენერალური მდივნის გამოსვლა არა მარტო ასახავს საბჭოთა ეკონომიკის მიერ მიღწეულ შთამბეჭდავ, საკრძნობ წარმატებებს, არამედ უაღრესად მკაფიოდ და ნათლად აძლევს საბჭოთა კომუნისტებს, ქვეყნის ყველა მშრომელს იმის გეზს, თუ როგორ მიაღწიონ ახალ, კიდევ უფრო მაღალ ეკონომიკურ მიჯნებს.

ბულგარული „რაბოტნიჩესკო დელო" წერს: „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობისათვის, რომელმაც განიხილა და მიიღო ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წინა ღღით გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადწყვეტილებებს, იმ პრინციპულ დებულებებს, რომლებსაც შეიცავს ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა ამ პლენუმზე.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებს მოხაცემები, რომლებიც მოსკოვში გამართულ უმაღლესი საბჭოს სესიაზე დასასრულს, საბჭოთა პარლამენტის მიერ მიღებული კანონები ოპტიმალურ წარმოდგენას გვიქმნიან საბჭოთა ეკონომიკის მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ. აღნიშნავს იტალიური „პაეზე სერა". სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია ასახავენ იმ უდავო წარმატებებს, საბჭოთა კავშირმა რომ მოიპოვა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში. საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მომავალი წლის სახელმწიფო გეგმა, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლანდელმა სესიამ დამტკიცა, ითვალისწინებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების შემდგომ ზრდას, წერს მეორე იტალიური გაზეთი „ჯორნო".

ახალი საბჭოთა გეგმა, რომელიც ახლახანს დამტკიცეს მოსკოვში, მიზნად ისახავს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ხაზს უსვამს დასავლეთ გერმანიის „ველტი". ამას დამაჯერებლად მოწმობს ციფრები: ეროვნული შემოსავალი გაიზრდება 4,3 პროცენტით, რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდებით გადიდდება 3,3 პროცენტით წლევანდელთან შედარებით.

საბჭოთა ეკონომიკამ — და ეს თვალსაჩინოდ დადასტურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელმა პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ — დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, აღნიშნავს ამერიკის „სან-ფრანცისკო იუზამენერი".

„ნიუ-იორკ პოსტი" განმარტავს რა სესიის მუშაობას, წერს რომ სსრ კავშირის თავდაცვის ხარჯები მესამე წელია ზედიზედ ერთ დონეზე რჩება, და ახალ ბიუჯეტში მთელი ხარჯების მხოლოდ 6,4 პროცენტს შეადგენს.

საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიიწევს კომუნისტური მშენებლობის ახალი მიჯნების დალაშქვრის გზით, წერს ლუანდაში გამომცემელი გაზეთი „ფორნალ დი ანგოლა". მოსკოვში სახალხო დეპუტატთა მიერ ახლახან მიღებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის გეგმა მიზნად ისახავს სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. (საკდესი).

ოყამირიო ბულგარულ ენაზე

სოფია. (საკდესი). ბულგარეთის კომპარტიის გამომცემლობა „პოლიტიზდატმა" ბულგარულ ენაზე გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი „ყამირი". იგი მასობრივ ტირაჟად გამოვიდა.

ნარკომანეგი შეიარაღებულ ძალებში

ვაშინგტონი, 4 დეკემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიაში დაბანაკებული ზოგიერთი ამერიკელი სამხედრო ნაწილის მოსამსახურეთა თითქმის 90 პროცენტი ნარკოტიკებს ხმარობს. ეს განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა გ. ინგლიშმა, რომელიც ამას წინათ დაბრუნდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საინსპექციო მოგზაურობიდან.

ეს მოგზაურობა მოეწყო გამოძიების ფარგლებში, რომელსაც წარმომადგენელთა პალატის ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური კომისია აწყობს იმის გამო, რომ ეს მოვლენა ფართოდ გავრცელდა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში.

სოციალიზმის ქვეყნებში



ვოლგოგეთის ქალაქ პეტრკუვ-ტრიბუნალსკში საექსპლოატაციოდ გადაეცა დიდპანელიანი სახლთსაშენებელი კომბინატი. ეს უკვე ამგვარი სახეობის მეათე საწარმოა, რომელიც რესპუბლიკაში აშენდა საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით. მისი მწარმოებლობა წელიწადში 180 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობია.

სურათზე: ახალი დიდპანელიანი სახლთსაშენებელი კომბინატის ტერიტორიაზე.

ცაფ-საკდესის ფოტო.

ბულგარეთის მეგობრობა კვლავ გამოცდილია

ნიუ-იორკი, (საკდესი). როგორც ხაინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, 1 ნოემბერს, კომენდანტის საათის დადგომის შემდეგ, თეირანის ბევრ რაიონში დაიწყო მთავრობის საწინააღმდეგო მახინჯი დემონსტრაციები. მათი გარეკვის დროს ჯარებმა და პოლიციამ თავდაპირველად იხმარეს ცრემლსადენი გაზი, მერე კი უიარაღო ადამიანებს ცეცხლი დაუშინეს: ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების ინტენსიური სროლა გვიან ღამემდე გრძელდებოდა ხამსაინსახეურის განაპირეთში. მოელი ამ დროის მანძილზე ქუჩებში მიგრალეტებდნენ მძიმე ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები, ჯარისკაცები კი თეირანელებს ფანჯრიდან გადმოხედვის უფლებასაც კი არ აძლევდნენ.

იუნატედ პრეს ინტერნეშენლის საგაზეთო კორესპონდენტი თეირანში მომხდარ გუშინდელ შეტაკებას უწოდებს ყველაზე სისტლიანს განვლილი წლის მანძილზე, ანუ ირანში ფართო სახალხო მღელვარების დაწყების მომენტიდან. ოფიციალური მონაცემებით, წელს უშიშროების ძალებსა და მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციათა მონაწილეებს შორის შეტაკებათა შედეგად ათასზე მეტი კაცი დაიღუპა. მაგრამ ოპოზიციური ძალების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ოფიციალური მონაცემები ერთობ შემცირებულია და მოკლულთა რიცხვი სინამდვილეში რამდენჯერმე უფრო მეტია.

თეირანის რაღიო იუწყება, რომ თეირანის ქუჩებში მოკლეს 7 და დაჭრეს 24 კაცი. ამასთანავე რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც ამ ამბების მომსწრეთა ნათქვამს იმოწმებს, იუწყება, რომ მარტო ერთ ღღეს ირანის ღიდაქალაქში მოსახლეობის მასობრივი დახვრეტის შედეგად ათასზე მეტი კაცი დაღუპა.

შაბათს დილაადრიან, თეირანის ბაზრის რაიონში კვლავ დაიწყო ხალხმრავალი დემონსტრაციები, რომელთა მონაწილენი ერთხმად გაიძახოდნენ ლოზუნგებს და გმობდნენ რეჟიმის სისტემატურ რეპრესიებს. ისევე როგორც გუშინ, დემონსტრანტებს ცეცხლი დაუშინეს.

ხალხის მღელვარებისა და შეტაკებების შესახებ ცნობები მოდიდა ბერეთე ისპაანიდან, ბუშირიდან, ზენჯანიდან და სხვა ქალაქებიდან.

წყალდიდობა სინგაპურში

სინგაპური, 4 დეკემბერი, (საკდესი). უკანასკნელი ასი წლის მანძილზე რეკორდული რაოდენობის ნალექი მოვიდა ნოემბერში სინგაპურში. იუწყება ადგილობრივი მეტეოროლოგიური სამმართველო. ტროპიკულმა წვიმამ წყალდიდობა გამოიწვია ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში. ბევრი მცხოვრები იძულებული გახდა სახლის სახურავებზე შეფარებინა თავი. საშიში ზონებიდან მოსახლეობის ევაკუაციებში მონაწილეობას იღებენ არმიის ქვეგანაყოფები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო ცხოვრება

მჯიდრო ნაბიჯი

საზღვარგარეთის პრესა კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიას, ფართოდ განიხილავს და განმარტავს სესიის მიერ მიღებულ კანონებს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მეოთხე წლის — სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სესიის მონაწილენი ერთსულოვნად იწონებენ და უმეტესი მხარს 27 ნოემბერს გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, დებულებებსა და დასკვნებს, რომლებიც მოცემულია ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში. პლენუმის დოკუმენტები, ნათქვამია პრესის ცნობიებში, ასახავენ სკკპ XXV ყრილობის მიერ წამოყენებული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის შემდგომი თანმიმდევრული განხორციელების ძირითად მიმართულებებს.

სულით და გულით გულოცავთ საბჭოთა მეგობრებს მეათე ხუთწლედის დასასრულებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ შემოთავაზებული ეკონომიკური სტრატეგიის ხორცშესხმაში მოპოვებულ შთამბეჭდავ წარმატებებს. განაცხადა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ვლადისლავ კრუჩემა. ჩვენ ძმურად გვახარებს საბჭოთაოს ეკონომიკური და თავდაცვითი პოტენციალის სწრაფი ზრდა, მისი წარმატებანი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე საბჭოთა სახალხო მეურნეობის ახლანდელი მდგომარეობის ღრმა, ყოვლისმხრივი ანალიზის შესანიშნავი მაგალითია, წერს ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავო". სკკპ ცენტრალური კომიტეტი თავისი ტრადიციების ერთგულია: მისი გენერალური მდივნის გამოსვლა არა მარტო ასახავს საბჭოთა ეკონომიკის მიერ მიღწეულ შთამბეჭდავ, საკრძნობ წარმატებებს, არამედ უაღრესად მკაფიოდ და ნათლად აძლევს საბჭოთა კომუნისტებს, ქვეყნის ყველა მშრომელს იმის გეზს, თუ როგორ მიაღწიონ ახალ, კიდევ უფრო მაღალ ეკონომიკურ მიჯნებს.

ბულგარული „რაბოტნიჩესკო დელო" წერს: „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობისათვის, რომელმაც განიხილა და მიიღო ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წინა ღღით გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადწყვეტილებებს, იმ პრინციპულ დებულებებს, რომლებსაც შეიცავს ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა ამ პლენუმზე.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებს მოხაცემები, რომლებიც მოსკოვში გამართულ უმაღლესი საბჭოს სესიაზე დასასრულს, საბჭოთა პარლამენტის მიერ მიღებული კანონები ოპტიმალურ წარმოდგენას გვიქმნიან საბჭოთა ეკონომიკის მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ. აღნიშნავს იტალიური „პაეზე სერა". სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია ასახავენ იმ უდავო წარმატებებს, საბჭოთა კავშირმა რომ მოიპოვა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში. საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მომავალი წლის სახელმწიფო გეგმა, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლანდელმა სესიამ დამტკიცა, ითვალისწინებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების შემდგომ ზრდას, წერს მეორე იტალიური გაზეთი „ჯორნო".

ახალი საბჭოთა გეგმა, რომელიც ახლახანს დამტკიცეს მოსკოვში, მიზნად ისახავს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ხაზს უსვამს დასავლეთ გერმანიის „ველტი". ამას დამაჯერებლად მოწმობს ციფრები: ეროვნული შემოსავალი გაიზრდება 4,3 პროცენტით, რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდებით გადიდდება 3,3 პროცენტით წლევანდელთან შედარებით.

საბჭოთა ეკონომიკამ — და ეს თვალსაჩინოდ დადასტურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელმა პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ — დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, აღნიშნავს ამერიკის „სან-ფრანცისკო იუზამენერი".

„ნიუ-იორკ პოსტი" განმარტავს რა სესიის მუშაობას, წერს რომ სსრ კავშირის თავდაცვის ხარჯები მესამე წელია ზედიზედ ერთ დონეზე რჩება, და ახალ ბიუჯეტში მთელი ხარჯების მხოლოდ 6,4 პროცენტს შეადგენს.

საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიიწევს კომუნისტური მშენებლობის ახალი მიჯნების დალაშქვრის გზით, წერს ლუანდაში გამომცემელი გაზეთი „ფორნალ დი ანგოლა". მოსკოვში სახალხო დეპუტატთა მიერ ახლახან მიღებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის გეგმა მიზნად ისახავს სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობა კვლავ გამწვავდა

ნიუ-იორკი, (საკდესი). როგორც ხაინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, 1 ნოემბერს, კომენდანტის საათის დადგომის შემდეგ, თეირანის ბევრ რაიონში დაიწყო მთავრობის საწინააღმდეგო მახინჯი დემონსტრაციები. მათი გარეკვის დროს ჯარებმა და პოლიციამ თავდაპირველად იხმარეს ცრემლსადენი გაზი, მერე კი უიარაღო ადამიანებს ცეცხლი დაუშინეს: ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების ინტენსიური სროლა გვიან ღამემდე გრძელდებოდა ხამსაინსახეურის განაპირეთში. მოელი ამ დროის მანძილზე ქუჩებში მიგრალეტებდნენ მძიმე ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები, ჯარისკაცები კი თეირანელებს ფანჯრიდან გადმოხედვის უფლებასაც კი არ აძლევდნენ.

იუნატედ პრეს ინტერნეშენლის საგაზეთო კორესპონდენტი თეირანში მომხდარ გუშინდელ შეტაკებას უწოდებს ყველაზე სისტლიანს განვლილი წლის მანძილზე, ანუ ირანში ფართო სახალხო მღელვარების დაწყების მომენტიდან. ოფიციალური მონაცემებით, წელს უშიშროების ძალებსა და მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციათა მონაწილეებს შორის შეტაკებათა შედეგად ათასზე მეტი კაცი დაიღუპა. მაგრამ ოპოზიციური ძალების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ოფიციალური მონაცემები ერთობ შემცირებულია და მოკლულთა რიცხვი სინამდვილეში რამდენჯერმე უფრო მეტია.

თეირანის რაღიო იუწყება, რომ თეირანის ქუჩებში მოკლეს 7 და დაჭრეს 24 კაცი. ამასთანავე რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც ამ ამბების მომსწრეთა ნათქვამს იმოწმებს, იუწყება, რომ მარტო ერთ ღღეს ირანის ღიდაქალაქში მოსახლეობის მასობრივი დახვრეტის შედეგად ათასზე მეტი კაცი დაღუპა.

შაბათს დილაადრიან, თეირანის ბაზრის რაიონში კვლავ დაიწყო ხალხმრავალი დემონსტრაციები, რომელთა მონაწილენი ერთხმად გაიძახოდნენ ლოზუნგებს და გმობდნენ რეჟიმის სისტემატურ რეპრესიებს. ისევე როგორც გუშინ, დემონსტრანტებს ცეცხლი დაუშინეს.

ხალხის მღელვარებისა და შეტაკებების შესახებ ცნობები მოდიდა ბერეთე ისპაანიდან, ბუშირიდან, ზენჯანიდან და სხვა ქალაქებიდან.

„ყამირი" ბულგარულ ენაზე

სოფია. (საკდესი). ბულგარეთის კომპარტიის გამომცემლობა „პოლიტიზდატმა" ბულგარულ ენაზე გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი „ყამირი". იგი მასობრივ ტირაჟად გამოვიდა.

ნარკომანეგი შეიარაღებულ ძალებში

ვაშინგტონი, 4 დეკემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიაში დაბანაკებული ზოგიერთი ამერიკელი სამხედრო ნაწილის მოსამსახურეთა თითქმის 90 პროცენტი ნარკოტიკებს ხმარობს. ეს განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრეს

ᲕᲘᲜ ᲔᲬᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲘᲛᲗᲕᲘᲡᲔᲑᲚᲔᲑᲡ?

ᲕᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ

